ხელშეკრულება №1/63-2022

ქ. თბილისი **2022 წ.**

ერთი მხრივ,

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (მისამართი: თბილისი, სამგორის რაიონში, აეროპორტი (აეროპორტის დასახლება); ს.კ №404 389 693) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ არჩუაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორე მხრივ,

შპს „კია საქართველო" (მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 197; ს.კ.N 236 096 675) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ამაშუკელის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი")

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ბალანსზე რიცხული ავტომანქანების, (KIA SPORTAGE - ს/ნ UA-777-GE და KIA PICANTO – ს/ნ BS-530-BB) რეგლამენტით გათვალისწინებული ტექნიკური მომსახურების (CPV-50112000) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4'000.00 (ოთხი ათასი) ლარს. ხელშეკრულებას თან დაერთვის პრეისკურანტი და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი (მათ შორის დღგ), რომლიც უნდა გადაიხადოს „მიმწოდებელმა".

3. ხელშეკრულების განხორციელების ვადები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, ფორმდება „მიღება-ჩაბარების" აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების" აქტი და წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურა.

5.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება „მიღება–ჩაბარების" აქტისა და ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან არუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.4. „მიღება–ჩაბარების" აქტისა და ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენის გარეშე, არ მოხდება თანხის გადახდა.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი მომსახურება, ხელშეკრულებით და მისი დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.1.2. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.1.5. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მოახდინოს გაწეული მომსახურების სრული ინფორმაციული უზრუნველყოფა.

6.2. “შემსყიდველი” ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს “მიმწოდებლისათვის” თანხის გადახდა 5.3. პუნქტის შესაბამისად.

6.2.2. დროულად განიხილოს “მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7. მხარეთა უფლებები

7.1. “მიმწოდებელს” უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

7.2. „შემსყიდველს” უფლება აქვს:

7.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

7.2.2. არ მიიღოს უხარისხო შესრულება.

8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი დარღვევა გამოწვეულია ისეთი დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით(ფორსმაჟორული გარემოება), რომლის წინაწარ გათვალისწინება ანდა გონივრული მეთოდებით გადალახვა შეუძლებელია. ასეთი გარემოებებია (და არამხოლოდ) მიწისძვრა, ხანძარი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, წყალდიდობა, ეპიდემია, სამხედრო მოქმედებები, მესამე პირების გაფიცვები, სახელმწიფოს ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების არარსებობა, კანონმდებლობაში შესული ცვლილებები და მისთანანი.

9.2. ფორსმაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსა თუ დაწესებულების მიერ ოფიციალურად.
9.3. მხარე ვალდებულია, პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უფლება ერთმევა, ვალდებულების შეუსრულებლობა გაამართლოს ფორსმაჟორზე მითითებით.
9.4. მხარეებს ასევე შეუძლიათ, ფორსმაჟორის დადგომის შემთხვევაში, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის გარეშეც ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ, შეაჩერონ ან შეცვალონ ეს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
11.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
12.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;
12.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
12.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ინსპექტირების პირობები

13.1.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ტრანსპორტისა და სპეც ავტოტექნიკის მენეჯერი სიმონ ნემსაძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი და შესყიდვების მონიტორინგის სამსახური.
13.2. კონტროლის განმახორციელებელ პირთა ფუნქციებია:
13.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
13.2.2. ტრანსპორტისა და სპეც ავტოტექნიკის მენეჯერის სიმონ ნემსაძის ან მისი მოვალეობის შემსრულებლის ფუნქციაა ასევე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა

14.1. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ასევე მომსახურების გაწევის დროს გამოწვეული ზიანი.

15. გამოყენებული სამართალი

15.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. დავა

16.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით, დავის წარმოშობიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. დასკვნითი დებულებები

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე არაუგვიანეს 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

17.3. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

17.4. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად.

18. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
(მისამართი: თბილისი, სამგორის რაიონში, აეროპორტი (აეროპორტის დასახლება)
ს.კ # 404 389 693
ტ.: +995 32 248 73 00
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი",
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE47TB0615536070100001 GEL

თამარ არჩუაძე
დირექტორი

United Airports of Georgia LLC
Digitally signed by United Airports of Georgia LLC
DN: cn=United Airports of Georgia LLC, 2.5.4.97=NTRGE-404389693, o=[illegible], c=GE
Date: 2022.06.22 13:48:46 +04'00'

„მიმწოდებელი"
შპს „კია საქართველო"
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-2 კმ.
ს.კ. N 236096675
საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE55BG0000000221862100

გიორგი ამაშუკელი
დირექტორი

პრეისკურანტები

KIA SPORTAGE

№	ავტონაწილების/მომსახურების ფასები	განზომილება	ერთეულის ფასი	მომსახურების ფასი
1	ძრავის ზეთი (სინთეტიკური)	1ლ.	24	
2	ზეთის ფილტრი	1ც.	24	12
3	ჰაერის ფილტრი	1ც.	48	4
4	სალონის ფილტრი	1ც.	84	12
5	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	360	18
6	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	248	18
7	თვლების ნახარის რეგულირება			48
8	ანტიფრიზი	1 ლ.	14	12
9	წინა ფარის ნათურა	1ც.	24	6
10	უკანა ფარის ნათურა	1ც.	6	3
11	სანისლე ფარის ნათურა	1ც.	30	12
12	საბურავის დაშლა-აწყობა ბალანსირება	1ც.		12
13	საქარე მინის საწმენდი	1ც.	60	2
14	ცეპლენიის პლიტა	1ც.	326	236
15	ცეპლენიის დისკი	1ც.	427	236
16	ცეპლენიის საკისარი	1ც.	104	236
17	კოლოფის ზეთი 1 ლიტრი	1ლ.	50	36
18	აკუმულიატორი	1ც.	280	6
19	ანთების სანთელი	1ც.	30	6
20	წინა ამორტიზატორი	1ც.	440	48
21	უკანა ამორტიზატორი	1ც.	380	36
22	ამორტიზატორის სამაგრი	1ც.	134	48
23	სუხოის რეზინა	1ც.	20	48
24	სტერჟინი	1ც.	160	12
25	საჭის მექანიზმი	1ც.	3450	177
26	საჭის მექანიზმის ღერძი	1ც.	381	72
27	ნაკანეჩნიკი	1ც.	80	12
28	უდარნი	1ც.	105	12
29	უდარნის პილნიკი	1ც.	40	24
30	ძრავის სამაგრი	1ც.	575	48
31	შარავოი	1ც.	135	24
32	რაზვალნი ვტულკა	1ც.	80	36
33	ყუმბარა	1ც.	1480	72
34	ყუმბარის სალნიკი	1ც.	25	72
35	წინა სტუპიცის საკისარი	1ც.	230	48
36	უკანა სტუპიცის საკიარი	1ც.	310	48
37	საბურავი დისკის ბოლტი	1ც.	10	2
38	საბურავის დისკის გაიკა	1ც.	10	48
39	დინამოს ღვედი	1ც.	195	36
40	აბს-ის დაჩიკი	1ც.	230	36
41	შუქის ჩამრთველი	1ც.	175	59

42	საჭის შლეიფი	1ც.	244	59
43	ბაბინა	1ც.	200	24
44	ბენზონასოსი	1ც.	755	118
45	წყლის ამოსასხმელი პლასმასი	1ც.	30	12
46	წინა საყრდენი დისკი	1ც.	400	18
47	უკანა საყრდენი დისკი	1ც.	400	36
48	ჩასაფენი რეზინი	კომლექტი	70	
49	სიგნალი	1ც.	92	24
50	სპიდომეტრის ამთვლელი სენსორი	1ც.	320	59
51	ელ. სისტემის დიაგნოსტიკა	1ც.		36
52	გიტარა	1ც.	640	36
53	კონდენციონერის კომპრესორის მაგნიტი	1ც.	230	118
54	კონდენციონერის კომპრესორის რგოლი	1ც.	410	118
55	ძრავის უკანა სალნიკი	1ც.	55	590
56	შუშის ასაწევი ღილაკები	1ც.	370	59
57	წყლის ავზი	1ც.	130	59
58	გასაღების ბუდე	1ც.	305	118
59	გასაღების კონტაქტორი	1ც.	180	118
60	სელექტორი	1ც.	175	118
61	კონდენციონერის კომპრესორი	1ც.	3399	118
62	რადიატორი	1ც.	1215	236
63	რადიატორის პროპელერი	1ც.	920	236
64	გენერატორი(დინამო)	1ც.	2240	118
65	გენერატორის ღვედის დამჭიმი გორგოლაჭი	1ც.	430	118
66	კარის მინის ამწე	1ც.	505	118
67	თერმოსტატი	1ც.	45	36
68	სამუხრუჭე ავზი	1ც.	14	36
69	კონდიციონერის დატუმბვა	100გრ.		12

	KIA PICANTO			
№	ავტონაწილების/მომსახურების ფასები	განზომილება	ერთეულის ფასი	მომსახურების ფასი
1	ძრავის ზეთი (სინთეტიკური)	1ლ.	24	
2	ზეთის ფილტრი	1ც.	24	12
3	ჰაერის ფილტრი	1ც.	40	4
4	სალონის ფილტრი	1ც.	60	12
5	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	264	18
6	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	161	48
7	თვლების ნახარის რეგულირება			48
8	ანტიფრიზი	1 ლ.	14	12
9	წინა ფარის ნათურა	1ც.	24	6
10	უკანა ფარის ნათურა	1ც.	6	3
11	სანისლე ფარის ნათურა	1ც.	30	12
12	საბურავის დაშლა-აწყობა ბალანსირება	1ც.		12

13	საქარე მინის საწმენდი	1ც.	36	2
14	ცეპლენიის პლიტა	1ც.	185	236
15	ცეპლენიის დისკი	1ც.	250	236
16	ცეპლენიის ტროსი	1ც.	70	236
17	ცეპლენიის საკისარი	1ც.	75	236
18	ათვლის სენსორი	1ც.	110	59
19	კოლოფის ზეთი 1 ლიტრი	1ლ.	50	36
20	აკუმულიატორი	1ც.	180	6
21	ანთების სანთელი	1ც.	24	6
22	წინა ამორტიზატორი	1ც.	280	48
23	უკანა ამორტიზატორი	1ც.	225	36
24	ამორტიზატორის სამაგრი	1ც.	75	48
25	სუხოის რეზინა	1ც.	30	48
26	სტერჟინი	1ც.	95	12
27	საჭის მექანიზმი	1ც.	1245	177
28	საჭის მექანიზმის ღერძი	1ც.	420	72
29	ნაკანეჩნიკი	1ც.	110	12
30	უდარნი	1ც.	110	12
31	უდარნის პილნიკი	1ც.	45	24
32	ძრავის სამაგრი	1ც.	150	48
33	შარავოი	1ც.	80	24
34	რაზვალნი ვტულკა	1ც.	45	24
35	ყუმბარა	1ც.	1350	72
36	ყუმბარის სალნიკი	1ც.	35	72
37	წინა სტუპიცის საკისარი	1ც.	245	48
38	უკანა სტუპიცის საკისარი	1ც.	655	48
39	საბურავი დისკის გაიკა	1ც.	10	2
40	საბურავის დისკის ბოლტი	1ც.	10	48
41	დინამოს ღვედი	1ც.	35	36
42	შუქის ჩამრთველი	1ც.	205	59
43	საჭის შლეიფი	1ც.	205	59
44	კარის საკეტი	1ც.	250	118
45	ბაბინა	1ც.	155	24
46	ბენზონასოსი	1ც.	350	118
47	წყლის ამოსასხმელი პლასმასი	1ც.	15	12
48	წინა საყრდენი დისკი	1ც.	390	18
49	უკანა საყრდენი დისკი	1ც.	410	24
50	ჩასაფენი რეზინი	კომლექტი	70	
51	სიგნალი	1ც.	79	24
52	სპიდომეტრის ამთვლელი სენსორი	1ც.	80	36
53	ელ. სისტემის დიაგნოსტიკა	1ც.		36
54	გიტარა	1ც.	285	36
55	კონდენციონერის კომპრესორის მაგნიტი	1ც.	235	118
56	კონდენციონერის კომპრესორის რგოლი	1ც.	510	118
57	ძრავის უკანა სალნიკი	1ც.	70	354
58	ლამბდაზონდი	1ც.	490	48

59	წყლის ავზი	1ც.	60	48
60	გასაღების ბუდე	1ც.	130	59
61	გასაღების კონტაქტორი	1ც.	50	59
62	კონდენციონერის კომპრესორი	1ც.	2125	118
63	რადიატორი	1ც.	830	236
64	რადიატორის პროპელერი	1ც.	535	236
65	გენერატორი(დინამო)	1ც.	1060	118
66	გენერატორის ღვედის დამჭიმი გორგოლაჭი	1ც.	40	118
67	სამუხრუჭე სითხე	1ც.	14	36
68	ფრთის საფენი	1ც.	70	12
69	სამუხრუჭე ავზი	1ც.	985	72
70	კონდიციონერის დატუმბვა	100გრ.		12

„შემსყიდველი"
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

თამარ არჩუაძე
დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „კია საქართველო"

LLC KIA GEORGIA
Digitally signed by LLC KIA GEORGIA
Date: 2022.06.22 16:30:48 +04'00'

გიორგი ამაშუკელი
დირექტორი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ბალანსზე რიცხული ავტომანქანების, (KIA SPORTAGE - ს/ნ UA-777-GE და KIA PICANTO – ს/ნ BS-530-BB) რეგლამენტით გათვალისწინებული ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით შპს „კია საქართველო"-სთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დირექტორი: თამარ არჩუაძე ----------

ტრანსპორტისა და სპეცავტოტექნიკის
მენეჯერი: სიმონ ნემსაძე ----------